**HEIDELBERG**CEMENT
GEORGIA

№ HB-284

**შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია**

ალ. ყაზბეგის გამზ. 21
0160, თბილისი
საქართველო
ტელ: +995 322474747

სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს გენერალურ დირექტორს

ბატონ ბაჩანა სულაძეს

19 ივლისი, 2022 წელი

ბატონო ბაჩანა,

ჩვენი კომპანიის სალიცენზიო ტერიტორიაზე გამავალი, საქართველო-სომხეთის საზღვრამდე 500 კვ ძაბვის ელექროგადამცემი ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებული თანხმობის თაობაზე თქვენი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელებით მნიშვნელოვნად მცირდება საბადოს ის საწილი, სადაც წარმოებს წიაღის მოპოვება. კონტურის შემცირება გამოწვეულია ეგხ-ს საყრდენის მოწყობისათვის საჭირო და მაღალი ძაბვის სადენების ქვეშ მოქცეული ტერიტორიის (ფართობი დასაზუსტებელია) გამოყენების აუცილებლობით, რომელიც, თანახმად საქართველოს მთავრობის #366 (24.12.2013) დადგენილებისა, წარმოადგენს ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის ზონებს, სადაც აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობის ნორმალური ფუნქციონირების მოშლა.

რამდენადაც, ეგხ-ის მშენებლობის შედეგად მნიშვნელოვნად მცირდება ჩვენთვის განკუთვნილი სალიცენზიო ფართობი, პროექტი „მარნეული-აირუმი“-ს განსახორციელებლად თანხმობას გავცემთ იმ შემთხვევაში, თუ აგვინაზღაურებთ გამოუყენებელ ფართზე ბუნებრივი რესურსის მოპოვების შეზღუდვით გამოწვეულ ზიანს. კერძოდ, ეგხ-ს საყრდენის მოწყობისათვის საჭირო ტერიტორიის შემთხვევაში - 50,817 ლარს.

თუ ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში, კერძოდ, 2025 წლის 24 ოქტომბრამდე, ელექტროგადამცემი ხაზი არ იქნება ჩართული მაღალი ძაბვის ქვეშ და გვექნება საბადოს შეუფერხებლად დამუშავების შესაძლებლობა, მაშინ არც ლიცენზირებული ტერიტორიის ფართობი შემცირდება და, აქედან გამომდინარე, არც კომპენსაციის გადახდის საკითხი დადგება.

საბადოს ექსპლუატაციის ლიცენზიით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე ეგხ-ის მაღალი ძაბვის ქვეშ მოქცევის შემთხვევაში, გთხოვთ შეგვატყობინოთ სავარაუდო თარიღი იმის გასარკვევად, რამდენად შესაძლებელი გახდება ამ ვადის დადგომამდე წიაღის მოპოვება და თუ ვერ მოხერხდება, მაშინ წიაღის მოპოვების შეზღუდვით გამოწვეული დანაკარგის გასაანგარიშებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ეგხ-ის დაცვის ზონის ფართობის შესახებ. აგრეთვე, გთხოვთ წარმოგვიდგინოთ მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ პროექტის „მარნეული-აირუმის განმახორციელებელ და ეგხ-ის მფლობელ კომპანიად განსაზღვრულია „საქრუსენერგო“.

პატივისცემით,

იურიდიული დირექტორი ქეთევან წერეთელი

სამშენებლო მასალების დირექტორი დავით ჯუღაშვილი

**გენერალური დირექტორი**
სილვიო ტიდე
**ფინანსური დირექტორი**
ეკა ტყეშელაშვილი

**შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია**
რეგისტრირებულია თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მიერ 2004 წლის 20 მაისს, № 36/4–113 დადგენილებით
იურიდიული მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზ. 21
0160, თბილისი, საქართველო

**საბანკო ანგარიში**
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი BAGAGE 22
ა/ა GE54BG0000000117481000
საიდენტიფიკაციო კოდი: 230866435